განმარტებითი ბარათი

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტზე

ბრძანების პროექტი მომზადებულია შემდეგი გარემოების გათვალისწინებით:

ფორმა №3 რეცეპტის ელექტრონული სისტემის ამოქმედება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რეცეპტის ინსტიტუტის გაძლიერების და სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, რადგან ფორმა №3 რეცეპტის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს მონაცემთა მოპოვებისა და მტკიცებულებების გენერირების ერთიან, უნივერსალურ წყაროს, ამასთან, წარმოადგენს ინსტრუმენტს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული, ასევე, დეკლარირებულია „2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №724 დადგენილებაში, რომლის თანახმად ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების განვითარება, რომელიც დააკავშირებს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს, ფარმაცევტულ დაწესებულებებსა და მარეგულირებელ ორგანოებს.

ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის შემდგომი იმპლემენტაციის უზრუნველყოფისათვის, მართებულად ჩაითვალა მისი წარმოების ვალდებულების ეტაპობრივი შემოღება. შესაბამისად, 2018 წლის 15 თებერვლიდან ფორმა N3 რეცეპტის ელექტრონული სისტემის საშუალებით წარმოება სავალდებულო გახდა ქ. თბილისის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის და სხვა სახელმწიფო პროგრამების სტაციონარული სერვისის მიმწოდებელი პირებისათვის, მ.შ. იმავე ფაქტობრივ მისამართზე განთავსებული მათი ამბულატორიული-სტრუქტურული ერთეულებისათვის („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №19 და „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №18 დადგენილებები). ამასთან, მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული ვალდებულებების იმპლემენტაციის

მიზნით 2018 წლის 13 თებერვალს ცვლილება შევიდა „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებაში (ბრძანება №01-7/ნ). ცვლილების თანახმად, სამედიცინო დაწესებულება განისაზღვრა ფორმა №3 რეცეპტის ელექტრონული სისტემის მომხმარებლად, ასევე, დადგინდა მისი ვალდებულებები ელექტრონული რეცეპტის წარმოების მიმართულებით. თუმცა, აღნიშნული ვალდებულებები, გარკვეულ შემთხვევებში, განსხვავებულად აღიქმება და საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. ამასთან, ელექტრონული რეცეპტის სისტემაში სამედიცინო დაწესებულების მომხმარებლად განსაზღვრამ მათ გაუჩინა ახალი ვალდებულებები ფორმა №3 რეცეპტის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების კუთხით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სამედიცინო დაწესებულებებს მიეცეთ გონივრული ვადა (2018 წლის 5 ივნისამდე) დამატებითი ვალდებულებების ნაწილის (კონკრეტულად კი დაწესებულების სახელით რეცეპტის გამომწერი ექიმების ჯამური რაოდენობის მითითება) უზრუნველყოფისათვის.

აქედან გამომდინარე, მომზადდა „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი.

ბრძანების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბრძანების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.